

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის

კონცეფცია

სკოლის მისია: სკოლის მიზანია უფროსკლასელთა ინტელექტუალურად მოტივირება და მათი პროფესიული ინტერესებისათვის ფართო არჩევანის შეთავაზება. ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაში ახალგაზრდები გაეცნობიან სამეცნიერო კვლევის სპეციფიკას მათი ასაკისათვის შესაბამისი ენის და პრობემების გათვალისწინებით. სკოლა უსასყიდლოდ სთავაზობს ახალგაზრდებს ცნობილ მეცნიერთა ლექციებზე დასწრებას და მათთვის სასურველ თემებზე საუბრის შესაძლებლობას. ნორჩ ჰუმანიტართა სკოლა მოზარდებს განუვითარებს კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევებს, რაც მათ შემდგომი საფეხურისათვის - სტუდენტური სასწავლო პროცესისათვის მოამზადებს და სამეცნიერო კოლექტივში გაწევრიანებაში დაეხმარება.

მიღების წესი: სკოლაში მიღებულ მოზარდებს არ მოეთხოვებათ საგანგებო განათლება ან საგამოცდო ატესტაცია. მოსწავლემ უნდა შეავსოს სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ [ბმულზე](#). შევსებული და მოსწავლისა და მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი ფორმა წარედგინება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. თუმცა დასწრება თავისუფალია, მაგრამ რეგისტრაცია და ლექციებზე რეგულარული დასწრება აუცილებელი პირობაა სიგელის მისაღებად.

ლექციების თემატიკა და განრიგი: ლექციები ჩატარდება შემდეგ საგნებში: ძველი და თანამედროვე ქართული ენა და ლიტერატურა, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის შესავალი, საქართველოს ისტორია, მსოფლიოს ისტორია, ფილოსოფია, არქეოლოგია, კულტუროლოგია, ხელოვნების ისტორია, სახვითი ხელოვნების საფუძვლები, ეთნოლოგია. თემები აკადემიური დისციპლინებიდან შეირჩევა მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით.

ლექციების კურსი დაიწყება 16 ოქტომბერს და ჩატარდება ყოველ მეორე პარასკევს სასწავლო წლის განმავლობაში. ლექციის ხანგრძლივობა საშუალოდ 1 საათი და 30 წუთია.

დამატებითი საქმიანობები: სასწავლო წლის ბოლოს სასურველია მოსწავლეებმა წარმოადგინონ ერთი თავისუფალი თემა სასურველ საგანზე მოსმენილ ლექციათა თემატიკიდან. შესაძლოა მოეწყოს ესეების კონკურსი. საუკეთესო ნაშრომები განთავსდება საბავშვო უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდებზე.

სასწავლო წლის ბოლოს, ზაფხულში გაიმართება ყოველწლიური 4 დღიანი საზაფხულო სკოლა. სკოლის პროგრამა განისაზღვრება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

სკოლის მოსწავლეებს უფლება ექნებათ დაესწრონ უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტური წრეებისა და გაერთიანებების მიერ მოწყობილ ღონისძიებებს.

ლექციების ადგილი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პირველი კორპუსი აუდიტორია №307.

საკონტაქტო პირი: თამარ გოგუაძე, თსუ I კორპუსი, 204 ოთახი

ტელ: 2 221 101 (255)

ელ-ფოსტა: tamar.gogvadze@tsu.ge